

შპს თბილისი მედიკ

ს/კ 404865286

ციფრული ფორმები

ციფრული ფორმების შევსების ერთეული ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის

ფორმა N1- კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2019	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 705 599	1 146 351	1 033 422
სავაჭრო მოთხოვნები	1 876 426	676 557	847 102
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	387 925	1 343 267	677 251
მარაგები	2 224 603	927 988	1 123 342
- მზა პროდუქცია	2 224 603	927 988	1 123 342
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	712 152	522 982	5 990
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	3 286 455	2 987 114	3 014 391
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	10 193 160	7 604 260	6 701 498

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	7 109	1 935
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	391 125	440 709	458 598
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	200 000	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	335 675	17 057	323 794

სულ ვალდებულებები	926 800	464 874	784 327
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი' კოოპერატივის შემთხვევაში 'სააქციო კაპიტალი')	1 225 171	548 881	27 990
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	7 702 881	6 247 582	5 889 181
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	8 928 052	6 796 463	5 917 171
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	338 308	342 922	-
სულ საკუთარი კაპიტალი	9 266 360	7 139 385	5 917 171
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10 193 160	7 604 259	6 701 498

ფორმა N2- კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები	7 983 313	4 736 987
საქონლის გაყიდვიდან	7 983 313	4 736 987
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5 299 381)	(2 767 753)
საწყისი მარაგები	-	(1 123 289)
მარაგების შესყიდვა	-	(2 572 453)
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	927 989
საერთო მოგება	2 683 932	1 969 234

სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(490 115)	(262 332)
ცვეთა და ამორტიზაცია	(227 908)	(197 239)
საპროცენტო შემოსავალი:	-	21 392
საპროცენტო ხარჯი :	-	-
იჯარის ხარჯი	(48 905)	(3 241)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(218 144)	(102 863)
სულ საოპერაციო ხარჯები	(985 072)	(544 283)

საოპერაციო მოგება	1 698 860	1 424 951
--------------------------	------------------	------------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(25 477)	(2 507)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	18 158	1 462
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(7 319)	(1 045)
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	1 691 541	1 423 906

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზ	-	
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი) სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 691 541	1 423 906

მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 353 233	1 139 125
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	338 308	284 781
მოგება/(ზარალი)	1 691 541	1 423 906

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
	-	-
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 353 233	1 139 125
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	338 308	284 781
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 691 541	1 423 906

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	7 139 385	5 982 234
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1 227 463)	(631 579)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	3 354 438	1 788 730
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9 266 360	7 139 385

შპს თბილისი მედიკ-ის ფინანსური მენეჯერი

გიორგი გუჯაძე



შპს თბილისი მედიკ მშობელი კომპანია

ზოგადი ინფორმაცია და ახსნა გამარტებები

ზოგადი ინფორმაცია და ახსნა განმარტებები

შპს თბილისი მედიკ იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და ყავს შვილობილი კომპანიები.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი არის: თბილისი ლუბლიანას ქ 28ა

შპს თბილისი მედიკს და მის შვილობილ კომპანიებს აქვთ საქმიანობის ორი მიმართულება:

- 1) სამედიცინო ავეჯით, სამედიცინო ინსტუმენტებით სამედიცინო აპარატურით და სახარჯი მასალებით ვაჭრობა.
- 2) მომსახურება: სამედიცინო ავეჯის მონტაჟის, აპარატუსი მონტაჟის , ტრენინგის და საიჯარო მიმართულებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. იგი ეფუძნება მიმდინარე წლის განმავლობაში წმინდა მოგების განაწილებას დივიდენდის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: ძირითადი საშუალებებზე 20 პროცენტია, შენობა ნაგებობის გარდა. შენობა ნაგებობაზე , 5 პროცენტია .თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა, კომპანიის მფლობელობაში აქვს

შენობა-ნაგებობა, რომელიც აქვს გაქირავებული და აღირიცხება დარიცხვის მეთდით, ხელშეკრულების და ანგარიშგაქტურის საფუძველზე ხდება შემოსავალში აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიას გააჩნია სასაქონლო მატერიალური აქტივები, რომელიც აღირიცხება უწყვეტი საშუალო შეწონილი მეთოდით, ყოველი წლის ბოლოს ხდება აქტივების თვითღირებულების გადაფასება : ნეტო სარიალიზაციო ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის უმცირესით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონლის რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება, იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, იურიდიულ პირებზე როგორც ნაღდი ასევე საკრედიტო პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ფიზიკურ პირებზე ნაღდი ანგარიშსწორებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მომსახურება ხორციელდება, იურიდიულ და ფიზიკურ პირებზეც ანგარიშსწორება ხდება როგორც ნაღდი ასევე საკრედიტო პირობებით, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახადის ვალდებულება არ ერიცხება

სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას არ სარგებლობს სესხით

ვალდებულებები

ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები:

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულებები

კომპანიას დაქირავებულ მომსახურე პირების მიმართ ვალდებულება არ გააჩნია

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

შპს თბილისი მედიკის ფინანსური მენეჯერი

გიორგი გეჯაძე

